პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

პაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ს ქ ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო ს დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს ო რ გ ა ნ ო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 11 ნოემბერი № 266 (16696) ფასი 2 კაპ. 1976

მოქმედების საბრძოლო პროგრამა

ოქტომბრისშემდგომ დღეებში საბჭოთა ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ღრმა შთაბეჭდილებით ცხოვრობს და შრომობს. პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ დამტკიცებული მეათე ხუთწლიანი გეგმის დიდებული მასშტაბები ახალი ძალით ცხადყოფს იმ თანამიმდევრობასა და გამიზნულობას, რომლითაც ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ხორცს ასხამენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ჩვენი გეგმების წარმატებების უზრუნველყოფა უშუალოდ საწარმოო კოლექტივებში — ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებებში ხდება მილიონთა თავდადებული შრომით. სახელმწიფო, გვახსოვდეთ ვ. ი. ლენინი, ძლიერია მასების შეგნებით, „როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ მსჯელობა და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ“. პარტია, რომელიც ხალხის სისხლი და ხორცია, განუხრელად ახორციელებს ამ მცნებას და ახალი სამყაროს მშენებლობის ყველა ეტაპზე მიმართავს მასებს, თვითეული მშრომელის გონებასა და გრძნობას, ხალხის ინიციატივის დაუშრეტელ წყაროს.

„პლენუმის გადაწყვეტილებები, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — პარტიული კომიტეტების, ყველა კომუნისტის პრაქტიკული საქმიანობის საბრძოლო პროგრამა უნდა გახდეს, საფუძვლად უნდა დაედოს ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას, რომლის მიზანია კიდევ უფრო ავამაღლოთ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა“.

ამ მუშაობის უმნიშვნელოვანესი, უპირველესი ნაწილია ღრმად განმარტოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსი და მნიშვნელობა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები. თვითეული შრომითი კოლექტივი, თვითეული ადამიანი ნათლად უნდა ხედავდეს პერსპექტივას, მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი დასახული მიზნები და თავისი ადგილი ხალხთა მწყობრში. დღეს პარტიული ორგანიზაციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების პროპაგანდას უქვემდებარებენ იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების ყველა საშუალებას — ლექტორებისა და პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების, პრესის ორგანოების, ელექტრონულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. გამოქვეყნდა პარტიული და კომკავშირული სწავლების, მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში ამ დოკუმენტების შესწავლის სამეცადინო თემატიკის რეკომენდაციები. სწავლა იხე უნდა მოვაწყოთ, რომ იგი ორგანულად უკავშირდებოდეს კოლექტივების წინაშე დასახული ხუთწლედის ამოცანების გადაწყვეტას, თვითეულ უბანზე, თვითეულ სამუშაო ადგილს კონკრეტულ საქმეებს.

ПРАВДА

10 ნოემბრის მოწინავე

მოწინავეთა გამოცდილება და მიღწეული წარმატებები, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, საშუალებას გვაძლევს ვისწავლოთ უფრო ქმედითი ბრძოლა სოციალისტური ზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. საჭიროა დავრაზმოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის დამატებითი რეზერვები და ყველა შესაძლებლობა, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები. და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი გეგმების შესრულების მძლავრი, ნაცადი ბერკეტის — სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარება. შეჯიბრების მძლავრ ნაკადში იშვება ხოლმე ყველა კარგი თაოსნობა, წინაურდება ახალი ხუთწლედის მრავალი ათასი დამკვრელი, შრომის გმირი. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ ნამდვილად საქმიანი და სახარგებლო თაოსნობები, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს, გადაჭრით აღმოვფხვრათ ყოველივე, რაც ხელს უშლის მჭქეფარე შემოქმედების აზრს, ნოვატორობას, მუდმივ წინსვლას. ყველა ამ საკითხმა მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს კომუნისტთა ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში საწარმოსა და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილს, პრესის ფურცლებზე, ტელე და რადიოგადაცემებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დოკუმენტების პროპაგანდა მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების ყველაზე აქტიურ მონაწილეობას. დიდ და მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან ახლა პარტიული კომიტეტების პროპაგანდისტული ჯგუფები, აგიტბრიგადები. ეს განსაკუთრებით მაშინ არის ნაყოფიერი, როცა მოხსენებები და ლექციები განმტკიცებულია იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფაში, მოწინავე გამოცდილების ათვისებაში, სიძნელეთა და ნაკლოვანებათა დაძლევაში ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის კონკრეტული დახმარებით.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესწავლა თვითმიზანი კი არ არის, არამედ ადამიანთა შეგნებაში მათი დამკვიდრების, ხუთწლედისათვის ბრძოლაში მასების ინიციატივის განუხრელი ამაღლების საშუალებაა. ამ პასუხსაგებ მუშაობაში მით უმეტეს შეუწყნარებელია ფორმალიზმის, ზერელობის, კამპანიურობის ყოველგვარი გამოვლინება. ჩვენი პროპაგანდისტული ღონისძიებების ქმედითობის ყველაზე საიმედო კრიტერიუმია შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლება, მართვის ლენინური მეცნიერების, წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების დაუფლება. საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, დიდი და პატარა ამოცანების გადაწყვეტისადმი ხალხმეურნეობრივი მიდგომა, დარაზმულობა და გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ბედისათვის პირადი პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობა დამახასიათებელი უნდა იყოს თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის.

ხუთწლედის პირველი წლის ათი თვის კარგი შედეგები, ოქტომბრისწინა დამკვრელური ვახტის დიდი მიღწევები მოწმობს, რომ ჩვენ უფრო სწრაფად შეგვიძლია ვიაროთ წინ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. მაშასადამე, ყველაფერი უნდა ვიღონოთ მიღწეულის განმტკიცებისათვის, მუშაობის ტემპისა და ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს წლევანდელ და მომავალ 1977 წელს კარგი მარაგნამეტი, მთლიანად ხუთწლედის შესრულების საიმედო გარანტია შევქმნათ. მაშ დაე იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა მგზნებარე სიტყვა, საქმით განმტკიცებული სიტყვა ახალი შრომითი მიღწევებისათვის შთაგონებდეს ადამიანებს!

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეათე ხუთწლედის გეგმით ქვეყნის წინაშე, ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე კომუნისტური აღმშენებლობის ფართო პორიზონტებია დასახული. წინ უზარმაზარი, საინტერესო და უაღრესად პასუხსაგები მუშაობა მოგველის. ამაზე, თუ როგორ ვიშრომებთ, როგორ შევასრულებთ დასახულ გეგმებსა და ვალდებულებებს, დამოკიდებულია ხამშობლოს ძლიერება, ავტორიტეტი და აყვავება, თვითეული ოჯახის, თვითეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა.

ახალი გამარჯვებებით დავასრულოთ ხუთწლედის პირველი წელიწადი!

რთველი—უდანაკარგოდ, ორგანიზებულად!

მოკრეფილია 281.833 ტონა ყურძენი

ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება. რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ცნობით, 10 ნოემბრისათვის ქართლის რაიონებმა გადასამუშავებლად ღვინის ქარხნებს ჩააბარეს 34.901 ტონა, ხოლო დასავლეთ საქართველოს რაიონებმა — 118.261 ტონა ყურძენი. რესპუბლიკაში სეზონის დაწყებიდან მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 281.833 ტონა, ხოლო ერთ დღეს — 9 ნოემბერს — 2.674 ტონა ყურძენი.

ზესტაფონის რაიონში სეზონის დაწყებიდან მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 25.089 ტონა, თერჯოლის რაიონში — 22.100, მაიაკოვსკის — 16.253, ვანის — 16.000, ბოლნისის — 8.996, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 7.753, გარდაბნის რაიონში — 6.513, სენაკის — 5.178, ორჯონიკიძის — 4.574, ხაშურის რაიონში — 4.157, წყალტუბოში — 3.471, ამბროლაურის რაიონში — 3.070, მცხეთის — 3.701, კასპის — 2.754, თეთრი წყაროს — 2.385, მარნეულის რაიონში — 2.351, ჭიათურაში — 2.235, გორის რაიონში — 1.863, ცაგერის — 1.500, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 1.503, ჩოხატაურის — 1.777, გეგეჭკორის რაიონში — 1.441 ტონა.

თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შეჯვრეებმა წლეულს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. სურათზე: მეურნეობის დირექტორი ვასილ დიაკონიძე, მთავარი აგრონომი ოთარ არაბიძე და ბრიგადირი დავით დოლაკიძე რთველში.

ფ. ბერეზინის ფოტო.

თერჯოლელთა შრომითი პატაკი

თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და შეჯიბრებაში არიან ჩაბმული გეგმებისა და გადიდებული ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, ყურძნის კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად ჩაატარეს რთველი და სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა. **10 ნოემბრისათვის ღვინის ქარხნებში მიტანილი იყო 22.100 ტონა ყურძენი, დაგეგმილი 17 ათასი ტონისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 18 ათასი ტონის ნაცვლად.**

უხვი მოსავლის მოწეწვასა და სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუფოთის საბჭოთა მეურნეობის, თერჯოლის სახელმწიფო ხეხილის სანერგის კოლექტივებმა, სოფელ თუზის, ძევრის, „წითელი ოქტომბრის“ 26 კომისრის სახელობისა და სხვა კოლმეურ ობებმა.

ამთავრებენ რა საოსფლო-სამეურნეო წელს, რაიონის მშრომელები მეათე ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის მაჯიეც საფუძველს ქმნიან. საშემოდგომო თესვა შესრულდა საუკეთესო თესლით. ბევრი რამ გაკეთდა პირუტყვის გამოზამთრების ოსამზადებლად. შეკეთებული და დათბუნებულია მეცხოველეობის სადგომები, ფერმებთან მიტანილია დიდძალი საკვები. (საქინფორმი).

ვანელთა წარმატება

14.500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 16.000 ტონა ყურძენი. კიდევ იქნება 1.000 ტონა

ვანის რაიონის მშრომელებმა ცუდ ამინდებს ბეჯითი შრომა დაუპირისპირეს და შედეგიც კარგია. **გუშინ საღამოსათვის უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 16.000 ტონა ყურძენი. ეს წლიური გეგმას 1.500 ტონით სჭარბობს.** მარტო ერთ დღეს, 10 ნოემბერს მოიკრიფა 800 ტონა ყურძენი. რთველი კვლავ გრძელდება. მეგზურებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს კიდევ მიჰყიდონ 1.000 ტონა ყურძენი. ეს „კომუნისტის“ თანამშრომელთან საუბარში თქვა საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ახმეტელმა.

წლეულს განსაკუთრებით კარგად იმუშავეს და ვაზს მზრუნველი ხელი არ მოაკლეს ზეინდრის და შუამთის საბჭოთა მეურნეობების, ფერეთის, ვანის, დიხაშხოს კოლმეურნეობების მშრომელებმა, რომლებმაც სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს და ახლა დამატებითი ვალდებულების ანგარიშში ყოველდღე ტონობით ყურძენს კრეფენ.

რაიონის მოსახლეობამ საკარმიდამო ნაკვეთებში მიღებული მოსავლის 96-98 პროცენტი სახელმწიფოს მიჰყიდა. სულ მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 12.000 ტონაზე მეტი ყურძენი. გორას სასოფლო საბჭოს მცხოვრებმა სიმონ ჯაჯანაძემ საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებული 15 ტონა და 700 კილოგრამი ყურძენი სახელმწიფოს მიჰყიდა, გივი ნიკოლაიშვილმა — 12 ტონა, ზეინდრელმა ჯამბულ ლილუაშვილმა და ნატა მალლაკელიძემ — 10,5 — 10,5 ტონა.

წლეულს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 48 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ეს შარშანდელ მოსავლიანობას 15 ცენტნერით ჭარბობს.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება დამთავრდა

10 ნოემბერს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკება. მოლაპარაკებს აწარმოებდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ო. კატუშევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ნ. კ. ბაიბაკოვი**, **მ. ა. ლესეჩკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **კ. ვ. რუსაკოვი**, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში **ხ. ა. პოლტოვრინი**;

პოლონეთის მხრივ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. გერეკი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პ. იაროშევიჩი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გრუჟენი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **ხ. ოლშოვსკი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტ. ვეგეჩიკი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ფრელეკი**, გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშალი **ხ. გუცვა**, დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტ. მლინჩაკი**, პოლონელ მწერალთა კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე **ი. ივაშკევიჩი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ზ. ნოვაკი**.

საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ხელმძღვანელებმა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში დაამთავრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის ორივე მხარისთვის საინტერესო საკვანძო საკითხების განხილვა. მათ აღნიშნეს, რომ ასეთი თანამშრომლობის წარმატებით განვითარება შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობის განმტკიცების საქმეს.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ევროპის კონტინენტზე არსებულ მდგომარეობას.

ყველა განხილულ საკითხზე დადასტურდა ორივე მხარის შეხედულებათა და პოზიციათა ერთიანობა.

შეთანხმებულია საბოლოო დოკუმენტი საბჭოთა კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ყოფნის შესახებ, რომელიც ვიზიტის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდება. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის საუბარი

10 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** მეგობრულად ესაუბრა კრემლში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ე. გერეკს**.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობისა და სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში გამოცდილების გაზიარების გაღრმავების ზოგიერთი პერსპექტიული საკითხი. ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ ორი მოძმე პარტიის ურთიერთმოქმედების განვითარება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივ განცხადებას

10 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას „საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის“.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა**;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. გერეკმა**.

დოკუმენტის ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები **ი. ვ. ანდროპოვი**, **ვ. ვ. გრიშინი**, **ა. ა. გრომიკო**, **ა. პ. კირილენკო**, **ა. ნ. კოსიგინი**, **თ. დ. კულაკოვი**, **კ. ტ. მაზუროვი**, **ა. ი. პელშე**, **ნ. ვ. პოდგორნი**, **მ. ა. სუსლოვი**, **დ. თ. უსტინოვი**, **პ. ნ. დემიჩევი**, **მ. ხ. ხოლომენცევი**, **ი. ვ. კაპიტონოვი**, **ვ. ი. დოლგიხი**, **კ. ო. კატუშევი**, **მ. ვ. ზიმიანინი**, **კ. უ. ჩერნენკო**, **ი. პ. რიაბოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი;

პოლონეთის მხრივ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ფრელეკი**, გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშალი **ხ. გუცვა**, დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტ. მლინჩაკი**, პოლონელ მწერალთა კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე **ი. ივაშკევიჩი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ზ. ნოვაკი**. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ბოლო მოვუღოთ მიწის კანონმდებლობის დარღვევებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი მიწათსარგებლობის კანონის უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მოთხოვნების განუხრელი შესრულებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში შემცირდა მიწათსარგებლობის ჯანონის დარღვევის შემთხვევები. მეტი ყურადღება ეთმობა მიწის ეფექტიან გამოყენებას, რამდენადმე მოწესრიგდა მიწების აღრიცხვა.

ამასთანავე, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, რესპუბლიკის პროკურატურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებებმა ცხადყვეს, სამინისტროები, უწყებები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არ იჩენენ სახელმწიფოებრივ მიდგომას ბუნებისა და მიწის რესურსების დაცვის დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი. ჯერ კიდევ ხშირია მიწათსარგებლობის კანონის უხეში დარღვევის შემთხვევები, ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ ასრულებს ზემდგომი ორგანოების დადგენილებას ახალი მიწების ათვისებისა და არსებულის ეფექტიანად გამოყენების შესახებ.

უხეშად არღვევენ კანონს მთელი რიგი საპროექტო ორგანიზაციებიც. ქალაქებს, დაბებს, რაიონული ცენტრების, კურორტებისა და სხვა ობიექტების განაშენიანების პროექტების შედგენისას მათს საზღვრებში ხშირად მოაქცევენ ხოლმე ფართობებს, სადაც მრავალწლოვანი ნარგავებია გაშენებული, აგრეთვე სახნავ მიწებს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შიდასამეურნეო მშენებლობისათვის იყენებენ აგრეთვე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ამ მიწების რეკულტივაციისა და წინანდელი მოსარგებლეებისათვის დაბრუნების საქმეში, რომლებიც დროებითი სარგებლობისთვის ჰქონდათ გადაცემული ორგანიზაციებს წაღისეულის ღია წესით ამოღების მიზნით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვან ნაწილს წლების მანძილზე დანიშნულებისამებრ არ იყენებენ და ამრიგად იკარგება სოფლის მეურნეობის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი რეზერვი. შეუწყნარებლად აქიანურებენ და ბრადამაკმაყოფილებლად ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს გამომუშავებული მიწების სოფლის მეურნეობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოყვანისა და წინანდელი მოსარგებლეებისათვის დაბრუნების შესახებ საქართველოს სსრ საშინ მასალათა და მშენებლობის

(დასასრული მე-2 გვ.)

მოსკოვი. 10 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას: „საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის“. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა. ხურათზე: ხელმოწერის დრო.

საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ბოლო მოვუღოთ მიწის კანონმდებლობის დარღვევებს

(დასასრული)

სამინისტრო, სხვა სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები. არ ასრულებენ ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებას აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატი (დირექტორი რ. ციხაძე), ამავე სამინისტროს სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატი (დირექტორი გ. მჭავანაძე), საოფლო მშენებლობის სამინისტროს „სამშენნდუსტრია“ წულუკიძის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, ბაშის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია თვითნებურად, მიწათსარგებლობის უფლების გაფორმებამდე იკავებს და ბრალდნიშნულებასმებრ იყენებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებს.

მშენებლობის სამინისტროს საშენ მასალათა ტრესტის ჩოლბურის ქვიშის მომპოვებელ წარმოებას (დირექტორი ა. ჭოჩიაშვილი) არ განუხორციელებია 1970 წლამდე გამომუშავებული 50,5 ჰექტარი მიწის რეკულტივაცია და არ ჩაუბარებია იგი თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებისათვის. უფრო მეტიც, წარმოებამ სოფელ ქვიდა სიმონეთის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე თვითნებურად გაჩსნა ახალი კარიერი 10 ჰექტარ საძოვარზე და დღემდე განაგრძობს აქ ქვიშის მოპოვებას. თერჯოლის რაიონში მიწის გამოყოფის ნებართვის მიუღებლად გახსნეს კარიერები ციხეშარიწ საშენ მასალათა კომბინატმა — 4,5 ჰექტარზე, ჭუთაისის საწარმოო გაერთიანება „საქმიანდუსტრიამ“ ფილიალმა — 10 ჰექტარზე, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს № 7 სამართველომ — 1,5 ჰექტარზე. ყვარლის რაიონში თვითნებურად დაიკავეს კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მიწები სასოფლო მშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო გზების, ჯანმრთელობის დაცვის, ქვების მრეწველობისა და განათლების სამინისტროებმა.

წულუკიძის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაშის კოლმეურნეობის მიწებზე 1967 წელს წულუკიძის რაიკოოპერატივის საგუბერნიო მეურნეობის შესაქმნელად გამოყოფილი რვა ჰექტარიდან ხუთზე სამინდი მოჰყავს ამავე კოოპერატივის დამხმარე მეურნეობას, სამ წელზე მეტია არ გამოიყენება ცამეტი ჰექტარი მიწა, რომელიც ჩოხატაურის რაიკოოპერატივს გამოუყვანია სოფელ ქვემო ჩხოროწყუს კოლმეურნეობის ტერიტორიაზე საგუბერნიო მეურნეობის მოსაწყობად. 1968 წლიდან უმეტესად 5 ჰექტარიანი ნაკვეთი, რომელიც სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციას გამოუყვანს სოფლების ველისციხისა და ვანისუბნის კოლმეურნეობების საგარგულებიდან. საწარმოო გაერთიანება „საქთველოზრეწვს“ დღემდე არაფერი არ უღონია საგუბერნიო მეურნეობის შესაქმნელად 36,96 ჰექტარ ნაკვეთზე, რომელიც მას 1971 წელს გამოუყვანს მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის მიერ გამომუშავებული კარიერიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია წალკისა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოების მუშაობა მიწის კანონმდებლობის დაცვის საქმეში.

წალკის რაიონის ედილისის, ბეშთაშენის, კუშჩისა და ბაშჭოს საბჭოთა მეურნეობების და დაბა წალკის ტერიტორიაზე გამოგლეჯილია კიდევ 22 შემთხვევა, რომ მიითვისეს მეურნეობის საზოგადოებრივი მიწები და ეწეოდნენ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას უპროექტოდ და ნებადაურთველად. ახალციხის რაიონის წყალთბილისა და პამაჯის საბჭოთა მეურნეობებში, დაბა ვალეს კოლმეურნეობაში გამოვლინდა საზოგადოებრივი მიწების მითვისებისა და ამ მიწებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის 11 შემთხვევა.

მიწის კანონმდებლობის უხეში დარღვევისა და საკარმიდამო ნაკვეთის ჩამოჭრილი მიწების გამოყენებლობის ფაქტებია თელავის, გორდაბნის, ზნაურის, კასპის, ლენინგორის, საგარეჯოს, ხაშურის, დუშეთის, ყვარლის, ზუგდიდისა და ქ. წყალტუბოს ზონის სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თელავის რაიონის ყარაჯალის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობაში საკარმიდამო ნაკვეთებს ჩამოჭრილი 22,7 ჰექტარი ჯერ კიდევ უკავიათ წინანდელ მიწათმოსარგებლეებს, ხოლო 3,6 ჰექტარი ფართობის ნაკვეთით კვლავ სარგებლობს 24 ოჯახი, რომლებსაც ქალაქი ალარა აქვთ სოფელთან. სოფელ ოყალთოს კოლმეურნეობაში 16 ოჯახი, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ და მუშაობენ, სარგებლობენ 2,9 ჰექტარი მიწის ნაკვეთით, ხოლო 12 ჰექტარ ჩამოჭრილი საკარმიდამო ნაკვეთებს კვლავ ამუშავებენ წინანდელი მიწათმოსარგებლენი.

იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა დროს წავიდნენ ქალაქის რაიონის სოფლებიდან დოესიდან, ხოლოდან, ზემო ბანდაკიდან და ყარაჯალიდან, უკანონოდ უკავიათ 61 ჰექტარი ფართობის საკარმიდამო ნაკვეთები. ამავე რაიონის ქვემოქალის კოლმეურნეობაში 62 ოჯახი, რომლებმაც გაწყვიტეს სოფელთან ქალშირი, უწინდებურად სარგებლობს 5,75 ჰექტარი მიწით. ქავთისხევის საბჭოთა მეურნეობაში 269 ოჯახს არ გაუთავისუფლებია მათთვის ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები.

დაწესებულ ნორმაზე მეტი ფართობის ნაკვეთებით სარგებლობენ კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები საგარეჯოს რაიონის ჯინდარის საბჭოთა მეურნეობასა და სოფლების ყანდაურისა და კაკაბეთის კოლმეურნეობებში, ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობაში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდაშის კოლმეურნეობაში.

გარდაბნის რაიონის მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ე. ლილუაშვილმა თვითნებურად გამოუცვალა საკარმიდამო ნაკვეთები 17 ოჯახს და მათ საბჭოთა მეურნეობის სარწყავი სახნავიდან 2,89 ჰექტარი მიწა გამოუყო.

უხეშად ირღვევა მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები ზნაურის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა ნაწილს საკარმიდამო ნაკვეთები აქვს 26,3 ჰექტარზე, რომელთა ფართობი ნორმას აღემატება, ხოლო 85 პირი, რომლებმაც გაწყვიტეს სოფელთან ქალშირი, სარგებლობს 7,8 ჰექტარი ფართობის ნაკვეთებით. გარდა ამისა, 8 ოჯახმა მიითვისა ხეხილის ბაღის 0,3 ჰექტარი. ამავე საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე სოფელ თიღვას ყოფილი კოლმეურნეობის გამგეობამ უკანონოდ გამოჰყო 4,7 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა, რომელთაგან ზნაურის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების გამგეს გ. გაგლოევს მისცა 0,25 ჰექტარი, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მმართველს ა. მელოას — 0,3 ჰექტარი და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მთავარ ბუღალტერს გ. ფილიევს — 0,15 ჰექტარი, რომელიც ამ 0,15 ჰექტარის ნაცვლად თვითნებურად დაიკავა საბჭოთა მეურნეობის ბაღის 0,25 ჰექტარი. ასევე უკანონოდ მიიღო 0,25 ჰექტარი საბჭოთა მეურნეობის თთავარმა ბუღალტერმა ვ. ბიგიაშვილმა.

ქუთაისსა და წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს არ მიუღიათ ზომები, რათა საბჭოთა მეურნეობისათვის გადაეცათ მიწები, რომლებიც ნორმაზე მეტი აქვს ქუთაისის ბაკისუბნის 311 მცხოვრებს.

წითელწყაროს სატყეო მეურნეობამ (დირექტორი ტ. დიდებულიძე) მდინარე ალაზნის გასწვრივ გაკაფა და ამოძირკვა ტყე და ჯაგნარი არა 250 მეტრზე მისი კალაპოტიდან, არამედ 3-20 მეტრ მანძილზე, და გამოჰყო ბაღჩეული კულტურებისათვის. თან მათი მოელა მიანდო ვ. მაზიაშვილს, რომელიც სასამართლო პასუხისგებაში იყო მიცემული საზამთროს სპეკულაციისათვის და პარტიის რიგებიდან გაირიცხა. მან სამუშაოზე მიიღო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული პირები და წარმოების კერძო ხასიათი მიანიჭა. გარდა ამისა, სატყეო მეურნეობამ უკანონოდ გამოუყო მუშა-მოსამსახურეებს 1,97 ჰექტარი ფართობის ბოსტნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სოფლის მეურნეობის, ქვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, აგრეთვე სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით სარგებლობენ, ფუზაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაავალა განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მოთხოვნები. მიწის კანონმდებლობის დარღვევის ყოველი შემთხვევა უნდა გახდეს სამინისტროს კოლეგიის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განხილვის საგანი. მკაცრად უნდა დაესაჯოთ ის პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვის საზოგადოებრივი მიწების უფფეტო, არადანშნულებისამებრ გამოყენებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ეცნობად მიიღო, რომ თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. იანგარაშვილი და წითელწყაროს სატყეო მეურნეობის დირექტორი ტ. დიდებულიძე განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თელავის, ყვარლის, გარდაბნისა და ზნაურის რაიონებში მიწის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის საკითხი და სათანადოდ დასაჯა დამნაშავენი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაავალა:

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოართვან მიწათსარგებლობის უფლება სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც ზედიზედ ორი წელია არ აუთვისებიათ მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, და წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მასალები ამ ნაკვეთების წინანდელი მიწათმოსარგებლეებისათვის დაბრუნების შესახებ;

აუკრძალონ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებით სარგებლობა იქამდე, ვიდრე შესაბამისი მიწათმმწყობი ორგანოები დაადგენდნენ ამ ნაკვეთების საზღვრებსა და მისცემდნენ მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს. ამასთანავე გამოყოფილი მიწის ნაკვეთების გადაცემა უნდა წარმოებდეს თანდათან, მათი დანიშნულებისამებრ ათვისების კვალობაზე.

საქართველოს სსრ პროკურატურა და რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ საქმეების დროული გამოძიება, რომლებიც ეხება მიწის კანონმდებლობის დარღვევას, საზოგადოებრივი მიწების მითვისებას, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობების თვითნებურ, უპროექტო შენებლობას განსაკუთრებული კონტროლი დაუწესონ სასამართლო გამოძიებას და მიიღონ მკაცრი ზომები დარღვევების აღსაკვეთად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაავალა განიხილოს საგარეჯოს, წალკისა და თერჯოლის სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების უფროსე ბ ი ს და გარდაბნის რაიონის მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მიწის კანონმდებლობის უხეში დარღვევები დაუშვეს.

რესპუბლიკის სახმშენმა და ყველა საპროექტო ორგანიზაციამ გამოხატულად უნდა დაიცვან მიწის კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც ეხება მიწის ფართობების არასასოფლოსამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას, არ დაუშვან საპროექტო სამშენაოთა წარმოება მიწების გამოყოფის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. ნაკვეთების შერჩევისას გათვალისწინონ, რომ განაშენიანებისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა გამოჰყონ სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში — ნაკლებინტენსიური სავარგულები. (საქინფორმი).

მოქთხოვნელობა ზრდის პასუხისმგებლობას

● კომუნისტი მუდამ ფინა ხაზზე უნდა იყოს ● ტექნიკური პროგრესი — ეფექტიანობის მთავარი გზა ● მხოლოდ მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა.

ფაბრიკის კომუნისტებისათვის დილიდანვე ცნობილი გახდა, რომ მათი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიქტორ კუპრაძე. ამ ცნობამ მუშები განსაკუთრებით გაახალისა. მათ ბევრი რამ აღმოაჩნდათ სტუმრისათვის სათქმელი და გასაზიარებელი. წარმატებებთან ერთად ცოტა როდი აქვთ მტკივნეული საკითხები, გადასაწყვეტი პრობლემები...

კრების დაწყებამდე მეცნიერმა დაათვალიერა საამქროები, ნახა საკმაოდ რთული, შრომატევადი პროცესები, ესაუბრა უფროსი თაობის ადამიანებს, რომლებიც ფაბრიკის დაარსების პირველი დღიდან მუშაობენ აქ და მშობლიურ საწარმოს ასობით სპეციალისტი აღუზრდეს, გაეცნო მათ გვერდით მომუშავე ახალგაზრდებსაც, რომლებმაც თმაშევარცხლილი ოსტატებისაგან შრომითი ესტაფეტა მიიღეს.

საამქროებში დაწყებულმა საუბარმა ბევრი რამ უკარნახა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას. გაიმართა გულახდილი და საქმიანი სჯა-ბაასი ფაბრიკისა და მისი კოლექტივის საკვანძო, საქირბოროტო საკითხებზე.

ამ წლინახევრის წინათ, უფრო ზუსტად 1975 წლის თებერვალში, როცა ბათუმის თამბაქოს ფაბრიკას ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში, გეგმა მხოლოდ 89 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული, მოულოდნელმა შემოწმებამ საწყობებში 32 ტონა ზედმეტი ნედეულეი გამოავლინა. ხდებოდა პროდუქციის დატაცება. აუცილებელი გახდა რადიკალური ღონისძიებები. დაკავებული პოსტებიდან გაათავისუფლეს ფაბრიკის ადრინდელი ხელმძღვანელები, იმ საამქროებისა და უბნების უფროსები, რომლებიც თავს ვერ ართმევდნენ საქმეს ან უპასუხისმგებლობას, გულგრძილობას იჩენდნენ. საწარმო სერიოზული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა — საჭირო გახდა მოეძებნათ მაღალკვალიფიციური კადრები, რომ განთავისუფლებულნი ერთბაშად ახლით შეეცვალათ.

ამ ვითარებაში მთელი კოლექტივი ერთსულოვნად დაიჯარზმა და ჩამორჩენას ორიოდე თვეში დააღწიეს თავი. ფაბრიკა ჩქარა ჩადგა მოწინავეთა რიგებში.

ნაყოფიერი შრომის შედეგად საწარმომ მეცხრე ხუთწლედი თოქმის თვენახევრით ადრე, გასული წლის 17 ნოემბერს შეასრულა, ხოლო 1976 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებით კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საპრიზო ადგილი მიიპყრო. საანგარიშო პერიოდში ფაბრიკაში დაიდგა მაღალმწარმოებლური თამბაქოს საჭრელი ჩეხური მანქანა „შკოდა“, რამაც ნახევარფაბრიკატების ხარისხი გააუმჯობესა. წლეულს გაზაფხულზე ამოქმედდა უკარტო ნაკადური ხაზი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო გაუმჯობესდა ხარისხი.

თუმცა წარმატებებს ჩავარდნაც მოჰყვა. როგორც კრებაზე ითქვა, ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჯერ კიდევ შარშან უნდა მიეღოთ სიგარეტის გამომშვები მანქანა, ამის გათვალისწინებით გაზაზდეს გეგმა, მანქანა ფაქტიურად ათი თვის დაგვიანებით, 1976 წლის ოქტომბერში მიიღეს, რამაც გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია. ამას ისიც დაემატა, რომ დაინგრა საწყობი, სადაც ასობით ტონა ნედლეული ინახებოდა. აქედან 300 ტონა უშუალოდ ჩანგრეული რკინაბეტონის კონსტრუქციების ქვეშ მოექცა, აუცილებელი გახდა ნედლეულის სასწრაფოდ გამოტანა, მაგრამ თავდაპირველად მუშებმა ვერ გაბედეს ავარიულ საწყობში შესვლა. მაშინ ფაბრიკის დირექტორი ა. ვადაჭკორია, პარტბიურის მდივანი ლ. ზადვინსკია, ვეტერანი კომუნისტები მ. მამლეევა, ტ. მგელაძე და სხვები კოლექტივს სათავეში ჩაუდგნენ და პირადი მაგალითით, თავდადებული შრომით დაძლიეს სიძნელეები. ნედლეული საწყობიდან მთლიანად გამოიტანეს და მინარევებისაგან გაასუფთავეს. თუმცა უხეში მინარევები ნედლეულში მაინც ეგეპარათ, რითაც დაზიანდა ძვირფასი მანქანები. დაზიანებამ კი ხანგრძლივი მოცდენა გამოიწვია, მოცდენამ — გეგმის ჩავარდნა. ივნისის დავალება მხოლოდ 79 პროცენტით შესრულდა.

და ეს ასეთ მძიმე მდგომარეობაში კოლექტივს ფარხმალი არ დაუყრია, ისინი დღე და ღამეს ასწორებდნენ, რომ პარტიისათვის მიცემული სიტყვა კონკრეტულ საქმედ ექცეთ. წინა ხაზზე კვლავ კომუნისტები იყვნენ — ზ. თავდგირიძე, თ. ჟღენტი, გ. მამლეევა, ს. ალანია, ტ. ბოლოვნა, ტ. მიხაილენკო და სხვები ბრიგადების წევრებთან ერთად თავდადებით შრომობდნენ.

საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ცნობილი დადგენილება, აგრეთვე რუსთაველთა შესანიშნავი თაოსნობა ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივისათვის ახალი შთაგონებისა და დარაზმულობის საფუძველი გახდა. ეს დოკუმენტები მათ საფუძვლიანად განიხილეს პარტიულ კრებაზე და პრაქტიკული ღონისძიებებიც დასახეს, რომელთა შესრულებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

ამ და სხვა პრაქტიკულ ღონისძიებებს კარგი შედეგიც მოჰყვა. საწარმო ალარ იღებს რეკლამაციებს, გაფლანგვა-დატაცების ფაქტები აღიკვეთა, ივნისს ჩამორჩენა თანდათან დაძლიეს: ფაბრიკაში ყოველდღე გამოდის „ელვა“ ფურცელი, სადაც აღნიშნულია საწარმოში ბოლო დღეს მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრების წინა დღე... საღამოს ხუთი საათი იყო... „ელვა“ თვალსაჩინო ადგილას გამოეკრათ. ფურცელი მკითხველებს აუწყებდა, რომ ს. ალანიას ბრიგადამ იმ დღეს გეგმით გათვალისწინებული 650 ათასი სიგარეტის ნაცვლად 1 მილიონ 16 ათასი გამოუშვა. ბრიგადის წევრებმა ეს ნობათი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას მიუძღვნეს. და ასეთი ნობათები ახლა ცოტა როდია. აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ თავის გამოსვლაში ბათუმელ მეთამბაქოეთა შრომას გმირული უწოდა. საწარმოს რთული ტექნოლოგიური პროცესები, საკმაოდ ძნელი შრომითი პირობები ასეთი შეფასების სრულ საფუძველს იძლევა.

როგორც კამათში გამოსული კომუნისტები ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ დიდი მუშათა დენადობა. ეს ნაწილობრივ იმის მიზეზიც არის, რომ ბევრ მუშას ცუდი საბინაო პირობები აქვს, ხოლო საცხოვრებელი სახლი 10 წელია მათთვის არ აშენებულა. ფაბრიკას აკლია სპეციალისტები, ამის გამო მეორე ცვლაში დანადგარები უმოქმედოდ დგას. საქართველოში არ არის შესაბამისი სასწავლებელი, რომელიც ფაბრიკას საჭირო სპეციალისტებს მოუმზადებდა.

საამქროებში ჯერ კიდევ არის ფიზიკურად და მორალურად მოძველებული დანადგარები, რომელთა შრომითი და ტექნიკური ნაყოფიერება დაბალია. საწარმოს არ ჰყოფნის სასაწყობო მეურნეობა, რაც ისე აუცილებელია მისთვის, ხოლო რაც არის, ისიც ავარიულ მდგომარეობაშია. ნედლეულის დიდი ნაწილი სხვა საწარმოთა საწყობებში ინახება, ეს კი უხერხულობას ქმნის. მოწყობილობა ხშირად გამოდის მწყობრიდან, საკმარისი სათადარიგო ნაწილება კი არა აქვთ: ჯერ კიდევ არის მუშა-მოსამსახურეთა დაგვიანების, გაცდენების, ლოთობის შემთხვევები. ზოგიერთი აქ მომუშავის სიტყვა საქმეს დაშორდა.

კრების მონაწილეთა სიტყვებიდან ერთი რამ თვალნათლივ გამოჩნდა: კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ რუსთაველთა თაოსნობას ჭეშმარიტი პრაქტიკული საქმით მიპასუხენ, რომ მათ რიგებში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო.

საამქრო პარტორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა საყურადღებო წინადადებები წამოაყენეს. მაგალითად, ვ. გეთიაძ მოითხოვა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს საამქროებში ჰაერის გაწოვებას, ნ. ნაკაშიძის წინადადებაა საწარმოში მეცნიერული მიღწევათა უფრო ფართოდ დანერგვა, ქოძელებმა ინანდგარების შეცვლა. ფაბრიკის პარტიულმა კომიტეტმა ამ მხარეს [illegible] 9 და [illegible] საქმიან წინადადებებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე [illegible] — ოჯ — [illegible] საწარმოს პერსპექტივებზე. ხუთწლიანი გეგმით 1980 წლისათვის ფაბრიკის მწარმოებლობა უნდა გაიზარდოს 38 პროცენტით, კერძოდ მიმდინარე წლის ბოლოსათვის — 10,8 პროცენტით. კოლექტივი უკვე აღწევს დასახულ მიზნებს. გარდა ამისა, საამქროები აღჭურვება ახალი ტექნიკით, დაინერგება დაჭრილი თამბაქოს პნევმატიკური მიწოდება, რაც გამორიცხავს უბნებზე მაგნეტრებს, ამაღლდება წარმოების კულტურა, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება. ტექნიკურ სიახლეთა ათვისება შეამცირებს დამხმარე მუშახელს, მალე საჭირო აღარ იქნება ორიკები, ნედლეულის და მზა ნაწარმის ხელით გადაზიდვა, ამას დიდი ეკონომიური ეფექტი მოჰყვება.

აქაური კომუნისტების უპირველესს საბრძოლო ამოცანად კვლავ ის რჩება, რომ გამოავლინონ ახალ-ახალი რეზერვები, დაზოგონ ნედლეული და საწვავი, დაიცვან დანადგარების მოგლა-ბრეული.

კრებაზე ქმაყოფილებით ითქვა, რომ ფაბრიკის კოლექტივმა ივნისის ჩამორჩენას მესამე კვარტლის ბოლოსთვის მთლიანად დაალწია თავი. ახლა მთავარზე მთავარი ის არის, კიდევ უფრო ამაღლონ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა, სრულყონ შესრულების შემოწმება და კონტროლი, გაზარდონ მომთხოვნელობა, ფართო გზა მისცეს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, შემდგომ განავითარონ ადამიანთა ინიციატივა და აქტივობა.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წერილი გაზეთში გამოქვეყნებამდე გავაცანით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს, აკადემიკოს ამბ. ვიქტორ კუპრაძეს, რომელიც საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობდა. აი რა თქვა მან.

— კრებამ კომუნისტთა მაღალი აქტივობის, პარტიული მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. მან ნათლად დაგვანახვა გზა, რომელიც მოკლე დროში გაიარა ქარხანამ ჩამორჩენილობიდან მოწინავეობამდე. საწარმოს კომუნისტები რომ პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას და კარგად ესმით მათ წინაშე დასახული ამოცანები, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ისინი პრინციპულად ლაპარაკობდნენ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, გადაუჭრელ საკითხებზე, პრობლემებზე, მათი გადაწყვეტის გზებზე.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემი აზრით, კრებაზე მეტი უნდა თქმულიყო ყველგან და ყველაფერში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების, თვითეული კომუნისტის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საკითხებზე.

გმირი დედა — ოჯახის ბურჯი

შეხვედრა გმირ დედა მრავალშვილიან დედებთან

ამ სურათზე აღბეჭდილია გმირი დედების ერთი ჯგუფი, რომელიც ზუგდიდში გმირი და მრავალშვილიანი დედებისადმი მიძღვნილ შეხვედრაში მონაწილეობდა. მარჯვნიდან — ლოლა ჯალენდია-ზარანდია, ჯიგა ანთია, ლუბა გაბრავა, ლიმონი თორდია, ოლია ჯანჯღავა, ლიდა დარასელია, ნათელა როგავა.

ამ დღეებში შ. დადიანის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ინიციატივით მოეწყო რაიონის მშრომელთა შეხვედრა გმირ და მრავალშვილიან დედებთან. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თოდუამ. მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. კუტალია.

გმირ და მრავალშვილიან დედებს მიესალმნენ გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორი ი. ქორთუა, სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ფარჯიკია, ქალაქ ზუგდიდის ინტელიგენციის სახელით მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. შამუგია, ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი გრ. შონია, რუხის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე ნ. ოკუჯავა, სტურებიდან თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი მ. აბულაძე, პოეტები მ. კახიძე და რ. ჩილაჩავა, კინომსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ელიავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ლორთქიფანიძე და სხვ. გმირი და მრავალშვილიანი დედების სახელით შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთმ, ათი შვილის დედამ მ. სეფერავამ.

მიიღეს მიმართვა რაიონის ქალებისადმი.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

□

ზუგდიდის რაიონში 57 გმირი და 822 მრავალშვილიანი დედა, რომელთა სახელები თაობიდან თაობას გადაეცემა. მათი უმრავლესობა ოფისიელად იხდის მოქალაქეობრივ ვალს სამშობლოს წინაშე, წარმატებით ართმევს თავს შვილების აღზრდის რთულ და სასპატიო მოვალეობას, აქტიურად შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებში, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში.

ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, გმირი დედა მალვა სვირავა ღირსეულად ატარებს ქართველი დედის მანდილს.

42 წლის ქალმა სამშობლოს ათი შვილი აღუზარდა, 23 წელია კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში მუშაობს, წელს 7 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა. მისი შვილები სწავლაშიც წარჩინებულნი არიან და შრომაშიც ყველაზე უფროსი 21 წლისაა, ხათუნა და მურთაზი ტექნიკუმში სწავლობენ, თანაც მშობლებს ეხმარებიან კოლმეურნეობაში. ტრისტანმა საშუალო სკოლა დაამთავრა და საბჭოთა არმიის რიგებში მიდის, მან ელდარი უნდა შეცვალოს. დანარჩენებიც მხარში უდგანან დედას, ეხმარებიან შინ და პლანტაციებში.

დიდებული შრომითი ტრადიციაა დამკვიდრებული გრიგოლიშელი გმირი დედის ფედოსია ბენიძის ოჯახში. იგი ოთხი ვაჟისა და ექვსი ქალიშვილის დედაა. ყველა დაოჯახებულია და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწევიან. გმირი დედა 34 შვილიშვილის ბებიაა, მიუხედავად ხანდაზულობისა, საკოლმეურნეო საქმიანობაში ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს.

ჩხოროცყუში ტატიანა და ანდრი ჩიქოვანების ოჯახს ბედნიერად თვლიან. სწორედ მათზე შეიძლება ითქვას, ქეთილი ნერგი იხარებსო. შრომის ტრადიციებზე აღზრდილმა ათმა შვილმა სახელი და დიდება შეჰმატა გმირ დედას.

ახალკახეთელი გული ჩიქავა და ჭკადუაშელი ნუნუ ნაჭყებია ჯერ 40 წლისანიც არ გამხდარან, მაგრამ თვითეულ მათგანს 11 შვილი ჰყავს, ყველანი სახელოვანი და შრომისმოყვარენი არიან.

კიდევ ბევრნაა სათქმელი საქმეები თბილი სიტყვები, მაგრამ ერთ ბატარა საგაზეთო წერილში ყველას დახასიათება ვერ ხერხდება.

გმირ და მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ფასიანი საჩუქრები გადაეცათ, დიდხანს დაამახსოვრებდათ ეს საპირო და საქმიანი შეხვედრა.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მინდვრად რომ არ დარჩეს არცერთი ტარო

ეხმარებიან მესიმინდეებს

მოსავლის აღების ცხარე დღეებში აბაშის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ენერგიულად შრომობდნენ წითელწყაროელი თელაველი, გურჯაანელი, აჭარელი, დმანისელი, თერჯოლელი, მექანიზატორები, ქუთაისელი თუ ფოთელი მუშები, სტუდენტი ახალგაზრდობა. ისინი სოფლის მშრომელთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ და უხვი მოსავლის აღება-დაბინავებაში დაეხმარნენ რაიონის მზეზელ-მთესველებს.

ქუთაისის პროფტექნიკური ინსტიტუტის 180 კაცი მუშაობდა სიმინდის აღებაზე რაიონის ყ

ქვეყნიერების პანორამა

ფაქტები, პრობლემები

საკავშირო ინფორმაციის ბიულეტენი

საკავშირო ინფორმაციის ბიულეტენი

საბჭოთა მილიციის დღის აღსანიშნავად

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების საზეიმო კრება, რომელიც საბჭოთა მილიციის დღეს მიეძღვნა.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები თ. მენთეშაშვილი, ა. მელნიკოვი, ზ. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. მანდილაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი ა. ოვერჩუკი.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ.

დარბაზში ტაშმა იქუხა, როცა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს მიესალმნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი გ. ანჩაბაძე, მწერალი პ. ლორია, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა ტ. როსტიაშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ბ. მგელაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ლ. შარაშენიძე, პოეტი ჯ. ჩარკვიანი.

დასასრულ გაიმართა რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტი.

□

საბჭოთა მილიციის დღეს გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ლენინის მოედანზე გამართულ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ თბილისის მილიციის გარნიზონის ქვედანაყოფების წარმომადგენლები.

ლენინის ძეგლის გვირგვინით შემკობის შემდეგ შინაგან საქმეთა ორგანოების ახალგაზრდა თანამშრომლებმა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს უმცროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის რესპუბლიკური სკოლის კურსანტებმა ფიცი დადეს. (საინფორმი).

ი ზ რ დ ე ბ ა ლაურეატთა რიგები

საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის გადაცემა

გ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის მოღვაწეებისათვის საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

1974-1975 წლებში ამ დარგში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭათ მწერალს გ. ფანჯიკიძეს, რეჟისორს მ. თუმანიშვილს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელას (სამხატვრო ხელმძღვანელი ი. კუბლაშვილი), თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორკესტრსა და მის ხელმძღვანელს, დირიჟორ ა. ეკალუხინს, მხატვარს თ. გოცაძეს, არქიტექტორს რ. კიკნაძესა და მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილს.

საქართველოს აღმ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ დაჯილდოებულთ გადასცა ლაურეატთა დიპლომები და სამკერდე ნიშნები, მხურვალედ მიულოცა მათ და უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი.

ლაურეატებს გულთბილად მეესალმნენ „თბილისგვირაბმშენის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მ. კოკოლაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ს. ჭიაურელი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, შთამო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი რ. ლაღიძე.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ა. ქელეხსანი, თ. გოცაძე, ნ. გაფრინდაშვილი.

დაჯილდოების დროს დარბაზში იყვნენ საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატები, რომლებსაც ეს მაღალი ჯილდო წინა წლებში მიენიჭათ.

(საინფორმი).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

უპასუხისმგებლობა დიდ მშენებლობაზე

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის კომპლექსის ზოგიერთი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციის უხეირო მუშაობას, მშენებლობაზე არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით რედაქციას უპასუხეს:

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომი

დაწესდა მკაცრი კონტროლი

კრიტიკულ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, — აცნობა რედაქციას საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შარაბიძემ. — ქარხნის მშენებლობაზე ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციების მიზეზით სეროზული შეფერხებაა.

„კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი განხილულ იქნა რაიონული შტაბის გამსვლელ სხდომაზე, სადაც ვიმსჯელეთ გასაშვები კომპლექსის მშენებლობის დაჩქარების საკითხებზე. შტაბის სხდომას ესწრებოდნენ ჩამორჩენილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გასაშვებ ობიექტებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის ხელმძღვანელები.

„საქმეკანმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველოს (უფროსი მ. ვაშაძე) დაგვალა ნოემბერში დაამთავროს ძირითადი სამუშაოები, დამკვეთმა კი ობიექტები უნდა უზრუნველყოს საჭირო მასალებით და მოწყობილობით. კონკრეტული დავალებები მიეცათ სამრეწველო ვენტილაციის, სპეცშახტმონტაჟის უბნების, ჩორდმშენის, მექანომონტაჟის, სპეცმშენის ტრესტების ხელმძღვანელებს.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომმა, რაიონულმა შტაბმა მკაცრი კონტროლი დააწესეს ამ კონკრეტულ დავალებათა შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო

ფონდი გამოყოფილია

წერილში „უპასუხისმგებლობა დიდ მშენებლობაზე“ აღნიშნული იყო, რომ მშენებლები ცუდად მარაგდებიან ხორცისა და რძის ნაწარმით. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ მ. შუბითიძემ რედაქციას აცნობა, რომ გაერთიანება „სამთო ქიმიის“, საქართველოს სსრ ვაჭრობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების შეთანხმებისამებრ რაჭის სამთო-მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს გამოიყოთ დამატებითი ფონდი — 10 ტონა ხორცი.

სამინისტრო გულისყურით მოეკიდება ყველა თხოვნას, რაც კი საერთოდ დამკვეთური მშენებლობებისათვის პროდუქტების ფონდების გამოყოფას ეხება.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი

სპეციალისტები გაგზავნილია

გასაშვები კომპლექსის მშენებლობაზე მექანიზმების, მძღოლების, სპეციალისტების, ინსტრუმენტების, ინვენტარის, სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას განიცდიდნენ. ამიტომ საფრთხე შეექმნა მიწის სამუშაოების ჯროულ დამთავრებას. როგორც მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა ნ. კიკნაძემ გვაცნობა, მიღებულია ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. თბილისიდან ობიექტზე მივლინებულია ექსკავატორის სამი მემანქანე, გაიგზავნა სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ობიექტზე მივლინებული არიან ტრესტის პასუხისმგებელი მუშაკები. გასაშვები ობიექტის დარჩენილი მიწის სამუშაოები — 4 ათასი კუბური მეტრი ვადამდე შესრულდება.

მთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ საქმეკანმონტაჟის ქუთაისის სამონტაჟო სამმართველო

ბრიგადები გაძლიერდა

ურავის გასაშვებ ობიექტებზე ჩვენი მემონტაჟეთა ბრიგადები გაძლიერდა, დამატებით გაიგზავნა გამოცდილი სპეციალისტები, რომ სამუშაოები რაც შეიძლება დაჩქარდეს, — აცნობა რედაქციას სამმართველოს უფროსმა მ. ვაშაძემ. — ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ გაზთაში კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ ჩატარებული გაფართოებული თათბირის გადაწყვეტილებები შევასრულოთ. ძირითად საქმეს, როგორც ვიკისრეთ, ნოემბერში შევასრულებთ.

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ფართოდ იწონებენ სსრ კავშირის ინიციატივას



ნიუ-იორკი. (საკადისი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივა, წინადადება — დაიდოს მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ამ საკითხზე დისკუსიის მსვლელობაში ბევრი დელეგაცია სამართლიანად აღნიშნავდა, რომ სსრ კავშირის წინადადება შეესაბამება ხალხთა უგულწრფელეს მისწრაფებებს. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატთა სიტყვებში ხაზგასმული იყო, რომ საბჭოთა ინიციატივის მიზანია კიდევ უფრო შეახელოს ომის საფრთხე, ხელშეწყობა პირობები შექმნას განიარაღებისაკენ წინსვლისათვის და ახალი მძლავრი იმპულსი მისცეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებას და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისადმი განაგრძონ შესწავლა საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი მსოფლიო ხელშეკრულების პროექტისა და საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ და წარმოუყენებინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ამ საკითხზე. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა „ამ პრინციპის საყოველთაო და ქმედითი გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობაში“. ასამბლეამ აგრეთვე დაადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შემდგომი 32-ე სესიის დღის წესრიგში შეეტანოს საკითხი „საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის თაობაზე მსოფლიო ხელშეკრულების დადების შესახებ“.

გამოვიდა რა გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზი გაუსვა, რომ დისკუსიამ და კენჭისყრის შედეგებმა ცხადყვეს ქვეყნების მნიშვნელოვანი უმრავლესობის დაინტერესება ისეთი ხელშეკრულების შემუშავებით, რომელიც ეკონომიკურ, სოციალურ, ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობებში ძალადობის ნებისმიერ ფორმას ბოლოს დაუდებს, ხელს შეუწყობს ეროვნული ინტერესების, ეროვნული სუვერენიტეტის, ეროვნული ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული ენის, ეროვნული ფასეულობათა, ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული ფასეულობათა ერთმანეთისადმი ურთიერთგანვითარებისა და ურთიერთგამდიდრებისა, ეროვნული ეკონომიკური ბაზისა, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების, ეროვნული ეკონომიკური ინიციატივის, ეროვნული ეკონომიკური ბიუჯეტის, ეროვნული ეკონომიკური ბალანსის, ეროვნული ეკონომიკური ბაზრის, ეროვნული ეკონომიკური ბანკის, ეროვნული ეკონომიკური ბანკნოტების, ეროვნული ეკონომიკური ბანკირების, ეროვნული ეკონომიკური ბანკეტების, ეროვნული ეკონომიკური ბანკეტების, ეროვნული ეკონომიკური ბანკეტ

ახალგაზრდობის ინიციატივა
ფრთებს შლის

შენდება კომკავშირული ქალაქი

თბილისიდან მარნეულისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზას რომ გაუყვებით, შეამჩნევთ დიდ სტენდს, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: **„რესპუბლიკური კომკავშირული სკოლა. შენდება კომკავშირული ქალაქი — ბორის ძნელაძე“.**

მანქანა მწვანე ხვიხით დამშვენებულ ახლადმოასფალტებულ, კეთილმოწყობილ გზას მიჰყვება. თვალს იტაცებს შემოდგომის ფერებით მოხატული შავხიბადას მთის ფერდობები, სიმწვანეს ოქროსფერი მოსძალებია, უფრო ზემოთ წითლად ღუის თრიმლის ბუჩქები.

ჩვენთან ერთად რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის დასათვალიერებლად მოდიან უკვე გაჭაღარავებული, ხანში შესული ადამიანები — კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები. ისინი სიამაყით იგონებენ გარდასულ დღეებს, ვინ მოთვლის რამდენი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა მათი თაობის ახალგაზრდობამ კომუნისტური მშენებლობის მატიანეში.

ამასთანავე ისინი სიხარულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო ამაღლდა ახალგაზრდობის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, ბევრი რამ კეთდება ახალგაზრდობის პატრიოტული, ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

თბილისში გაჩნდა აღმზრდელობითი მუშაობის ახალი კერები — ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი და შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი; შეიქმნა საქართველოს კომკავშირის ისტორიის კაბინეტი და ამ კაბინეტთან ჩამოყალიბდა **რესპუბლიკის კომკავშირის ისტორიის მუზეუმი; ბარათაშვილის ხიდის დარბაზებში მუშაობს ახალგაზრდული კლუბი „მერანი“.**

ამერკავკასიის მომძე რესპუბლიკების მარადიული მეგობრობის აღსანიშნავად შეიქმნა მეგობრობის მემორიალის პროექტები, რომელთა შორის საუკეთესო უახლოეს ხანში დაიდგმება სამი მოძმე რესპუბლიკის ძმობის ხიდთან — წითელ ხიდთან.

ფართო რეზონანსი ჰქონდა კონკურსს ვერის მიდამოებში პიონერული ქალაქის „მზიურის“ მშენებლობისათვის.

და ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდულ პრობლემებს, ყოველმხრივ მხარს უჭერენ და ეხმაურებიან კომკავშირელთა ინიციატივას, მათ სამაგალითო ნაბიჯს.

...მანქანამ აიკაკა და ჩვენ თვალწინ გამოჩნდა დიდი ლენინის ძეგლის კვარცხლბეკისაკენ მიმავალი გზა. მივყვებით ფართო შარაგზას და აი რესპუბლიკური, კომკავშირული სკოლის სასწავლო შენობაც გამოჩნდა. ამჟამად აქ უკანასკნელი დამამთავრებელი სამუშაოები წარმოებს, ასუფთავებენ, მწვანე ნარგავებით, ყვავილებით რთავენ სკოლის ეზოს. უახლოეს დღეებში მოხდება კომკავშირული ქალაქის მშენებლობის პირველი რიგის — ვ. ი. ლენინის ძეგლისა და რესპუბლიკური კომკავშირული სკოლის სასწავლო კორპუსის საზეიმო გახსნა. ამასთანავე საფუძველი ჩაეყრება ბორის ძნელაძის ძეგლს, ახალ სასწავლო კორპუსში გაიმართება მისი დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

კომკავშირულ სკოლაში გადასამზადებელ, ერთთვიან კურსებს გაივლის ყველა განთავისუფლებული კომკავშირული მუშაკი და უფროსი პიონერხელმძღვანელი, კვალიფიკაციას აიმაღლებს ჩვენი კომკავშირული აქტივი.

დღეს, როცა პარტია და ხელისუფლება ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე ახალ დიდ ამოცანებს აყენებს, ცხადია, ბევრი რამ არის დამოკიდებული კომკავშირული კადრებისა და აქტივის მომზადებაზე. კომკავშირული კადრებისა და აქტივის იდეური დონის ამაღლება, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმად შესწავლა ჩვენს ახალგაზრდებს დაეხმარება უფრო ნათლად განსჭვრიტონ პარტიის პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და უკეთ დაიმახსოვრონ მათი განხორციელებისათვის.

კომკავშირულ სკოლაში სწავლება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით იწარმოებს. იმუშავებს ორატორული ხელოვნების დაოსტატების კაბინეტი, მეთოდიკური ცენტრი, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები; ადგილობრივი ტელევიზია, ბიბლიოთეკა...

სკოლის სასწავლო კორპუსში მოთავსდება საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი საზოგადოებრივი ინსტიტუტი. სკოლის მშენელები მიიღებენ ოთხსართულიან საცხოვრებელ კორპუსს 130 კაცისათვის, ორადგილიანი კეთილმოწყობილი ოთახებითა და კაჟე-სასადილოთი.

შორს ფერდობზე ხარაჩოებია ორსართულიანი ლამაზი კოტეჯი. უახლოეს ხანში რამდენიმე ასეთი კოტეჯი აშენდება, სადაც გათვალისწინებულია მოეწყოს სასკოლო კომკავშირული აქტივისტებისა და სტუდენტთა სამშენებლო რაზმების სწავლების ბანაკი.

ყოველ დასახლებას თავისი განვითარების გენერალური გეგმა ედება საფუძვლად. ასეთი გეგმა კომკავშირულ ქალაქსაც აქვს. იგი „საქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტში დამუშავდა. გენერალური გეგმის თანახმად ახალგაზრდულ ქალაქში მოეწყობა დია, დახურული სასპორტო მოედნები, საცურაო აუზი და სხვ.

მომავალში კომკავშირულ ქალაქში გადაინაცვლებს პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკური სკოლა, რომელიც ასევე პიონერულ მუშაკთა სწავლების რესპუბლიკური ცენტრი იქნება.





საკავშირო კომკავშირულ ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერითა და დახმარებით.

ამ დიდ კეთილმობილურ საქმეში მრავალ სამინისტროს, საუწყებო, საშეფო ორგანიზაციას მიუძღვის დიდი წვლილი. ძნელია საგაზეთო წერილში მათი ჩამოთვლა, ყველა პიროვნების დასახელება, ვინც აქტიურად მონაწილეობს კომკავშირულ და პიონერულ მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური ცენტრის მოწყობაში. სწორედ ამიტომ მადლიერებითა და კმაყოფილებით ამბობენ რესპუბლიკის კომკავშირული მუშაკები — ჩვენს კომკავშირულ ქალაქს კომკავშირელთა ყველა თაობა აშენებსო. ალბათ, ყველა მათგანს ამ დიდ საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის თავის დროზე მადლობას ეტყვიან და სათანადოდაც აღნიშნავენ მათ დამსახურებას.

მაგრამ ყველაზე დიდი მადლობა მაინც იქნება ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთება, მადალი ზნეობა, მაღალი მოქალაქეობრიობა. და ეს მიზანი შესანიშნავად არის გამოხატული საქართველოს კომკავშირის ღიღვანდელი საქმიანობის პრინციპში: **თვითეულისაგან — პერსონალური პასუხისმგებლობის მაქსიმუმი, თვითეულს — კომკავშირული ზრუნვისა და ყურადღების მაქსიმუმი.** სწორედ ამ მიზნის მიღწევაა მთავარი. და ეჭვი არ არის, რომ კომკავშირული ქალაქი დიდ როლს შეასრულებს ამ მიზნების მისაღწევად კომკავშირული და პიონერული კადრების, აქტივის თეორიული და პრაქტიკული მომზადების საქმეში.

უახლოეს ხანებში ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით განზრახულია კომკავშირული სკოლის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე, 300-400 ჰექტარ ფართობზე გაშენდეს ახალგაზრდული ტყე-პარკი.

ყოველ ქალაქს აქვს თავისი ქუჩები და მოედნები. ასეთი ქუჩები და მოედნები, რა თქმა უნდა, სიმბოლური ხასიათისა, ექნება კომკავშირულ ქალაქსაც. აქ გაშენდება იური გაგარინის, პავლე კორჩაგინის, მირზა გელოვანის ქუჩები. მთავრდება ვ. ი. ლენინის მოედანი, ბორის ძნელაძის სკვერი, შენდება მეგობრობისა და მშვიდობის ხეივნები.

ბედნიერება, სიხარული და უღრუბლო ცა ვუსურვოთ ჩვენი ახალგაზრდული ქალაქის მომავალ მკვიდრთ!

ლარისა ხუბულური.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ასეთი იქნება ბორის ძნელაძის კომკავშირული ქალაქი. ქვემოთ — ქალაქის სასწავლო კორპუსის შენობა.

ვ. ქარსელაძის
მემორიალი

საბრძოლო განწყობილება

მესამე ტურის პარტიები ძალუბრად მიმდინარეობდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ლუტიკოვ-მიხალჩიშინის შეხვედრა, სადაც მეტოქეებმა სწრაფად გაცვალეს ფიგურები და ყაიმზე შეთანხმდნენ. ხოლმოვი უარზე არ იყო ასევე გაეცვალა ფიგურები ზაიჩიკთან, მაგრამ ეს მის მშვიდობიან განწყობილებაზე როდი მეტყველებდა. ბოლოს და ბოლოს დიდოსტატმა მოიგო კიდეც პაიკი, მაგრამ დაფაზე ეტლების ენდშპილი წარმოიქმნა, სადაც, ტარტაკოვერის თქმისა არ იყოს, ძალზე დიდი საყაიმო შესაძლებლობებია. ზაიჩიკი მშვიდად იცავდა თავს და გადადებულ პოზიციაში, ეტყობა, ნახევარ ქულას მოიპოვებს.

გულშემატკივრებმა უკვე შეამჩნიეს, რომ დიდოსტატი კუზმინი ყველა პარტიაში მოგებისათვის იბრძვის. საქმე ის არის, რომ ამ დღეებში მან საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში მინსკში დიდი მარცხი იგემა და ახლა თბილისში თავისებური რევანშის ასაღებად ჩამოვიდა. მესამე ტურის პარტია გიორგაძესთან შავებით მოთამაშე კუზმინმა გარეგნულად თითქოს მარტივ, მაგრამ მწვავე პოზიციაში გადადო. გურგენიძე ამ შეჯიბრებაში, ვფიქრობთ, პირველი პრიზისათვის იბრძოლებს. პირველი ორი უაღრესად დაძაბული პარტიის შემდეგ იგი სრულიადაც არ ცდილა „შესვენებას“ მიქაძესთან. ეს პარტია საინტერესოდ ვითარდებოდა. გურგენიძე ფლობდა ინიციატივას, მაგრამ მიქაძე კარგად თამაშობდა, გაათანაბრა პოზიცია, და შესვენდრაც ყაიმით დაასრულა. ჩინებულად თამაშობდა ნორჩი მოჭადრაკე სტურუა ლერნერთან. მან შეავიწროვა თავისი გამოცდილი მეტოქე და პაიკი მოიგო. პარტია გადაიდო ოთხი ეტლის მწვავე ენდშპილში სტურუას უპირატესობით. გედევანიშვილ-ჯანოვეის პარტია მუდმივი ქიშით დამთავრდა. ამ შესვენდრაში ოსტატობის კანდიდატმა ვერ გამოიყენა უპირატესობა.

გუშინ მეოთხე ტურში ლერნერმა მოუგო გიორგაძეს, ლუტიკოვმა — სტურუას, ჯანოვმა — ბოკუჩავას. ყაიმზე შეთანხმდნენ კუზმინი — გედევანიშვილი, მიქაძე — ხოლმოვი, ზაიჩიკი — ჩიქოვანი და მიხალჩიშინი — უბილავა. ერთი პარტია გადაიდო. ანიკაევს უპირატესობა აქვს გურგენიძესთან.

დღეს მორიგი, მეხუთე ტურია.

გ. გამრეკელი.

ჭიდაობა

თასი — თბილისელ დინამოელებს

ტიუმენში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

კარგად ეასპარეზეს ქართველმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც დამაჯერებლად სძლიეს ყველა მეტოქეს და მეორედ დაეუფლნენ საპატიო ჯილდოს.

თბილისის „დინამოს“ კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდმა (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. დათიაშვილი) უფლება მოიპოვა ეასპარეზოს ევროპის ქვეყნების „დინამოს“ მონათესავე საზოგადოებებს თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. აი ვინ გამოდიოდა გამარჯვებულთა შორის (წონითი კატეგორიების მიხედვით): ვ. ბაგაევი, ბ. ბლაგიძე, მ. ხუხუა, ჯ. მეგრელიშვილი, ი. ჯუღელი, ე. მაჩაიძე, თ. ნინწალაშვილი, თ. აფხაზავა, მ. კუხაიძე, გ. დოგუზაშვილი, მ. სალაძე.

ფეხბურთი

საპი მატჩი

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის სამი შეხვედრა. აი მათი შედეგები: **„ზარია“—„კრ. სოვეტოვ“ — 1:0; „დნეპრი“-ცსკა — 1:0; „კარპატი“-„ზენიტი“ — 0:3.**

გათამაშების ფინიშზე

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის (პირველი ჯგუფი) დამთავრებამდე სამი ტური დარჩა, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა გაიხადა. სტუდენტებს 46 ქულა აქვთ 30 მატჩის შემდეგ და 7 ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ თელავის „ნადიკვარს“. ლიდერს თეორიულად შეუძლია დაეწიოს მხოლოდ ტყიბულს „მეშახტე“ — 36 ქულა 28 თამაშიდან.

აუტსაიდერთა შორის ერიან წალენჯიხის „კოლმეურნე“, წულუკიძის „ცისარტყელა“, გორის რაიონის „ქართლი“ და თბილისის უნივერსიტეტის გუნდი, რომელთაც ემუქრება მეორე ჯგუფში გადასვლის საშიშროება.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

„სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 10 ნოემბერს გამართული 45-ე ტირაჟის შედეგები:

„სპორტლოტო“ — 31 (ცურვა), 36 (სლალომი), 2 (ავტოსპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 44 (ფიგურული სრიალი), 35 (სპიდვეი);

„სპორტლოტო-2“ — 27 (მოტოსპორტი), 38 (შვილდოსნობა), 47 (ბურთიანი ჰოკეი), 14 (ფრენბურთი), 39 (სამბო), 3 (აკრობატიკა). (საკდესი).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

გ. კავკასიძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრ-კორესპონდენტი, ცნობილი მეცნიერი, ეკონომისტი, მსახურებული ეკონომისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1943 წლიდან **გიორგი კონსტანტინეს-ძე კავკასიძე.**

გ. კავკასიძე დაიბადა 1906 წელს სოფელ ფასანაურში (დუშეთი), შრომითი საქმიანობა დაიწყო 1925 წლიდან.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1931 წელს, მუშაობა დაიწყო საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მეისის რაიკომში ინსტრუქტორად. 1934-1936 წლებში მუშაობდა ამავე რაიონის შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, მდივნად; არჩეული იყო რაისაბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

1935 წლიდან 1950 წლის ივლისამდე გ. კავკასიძე მუშაობდა საქართველოს კინომრეწველობაში ჯერ საგეგმო განყოფილების, წარმოების უფროსის, მხატვრული ფილმების დირექტორის, მთავარი რედაქტორის თანამდებობებზე, შემდეგ (1948 წ.) გ. კავკასიძე ინიშნება კინემატოგრაფიის სამართველოს უფროსის და მინისტრის მოადგილედ, სადაც იგი ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას ქართული კინემატოგრაფიის განვითარებისათვის.

1950 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. კავკასიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. იგი იყო აკადემიის კადრების განყოფილების უფროსი, სამეთაურო მმართველი, ხოლო 1970 წლიდან იყო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსი. გ. კავკასიძის დამსახურება საათანადოდ დაფასდა მთავრობამ. მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

შესანიშნავი მოქალაქისა და სპეციალისტის გ. კავკასიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

11 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საბავშვო ანსამბლი „ვოვენდას“ კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1917 წელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.50 — ნახატი ფილმი, 18.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 19.15 — „ბილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ექსპრომტი“, 19.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანგოლის ფრონტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „პოეზია“ — ბელა ახმადულინა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

11 ნოემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **რომანტიკული სერენადები** (მე-10 აბონ. მე-7 წარმ.); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კმპამი კმპანტირაძე.**

ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)
13 ნოემბერი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

(უმაღლესი ლიგა)

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)
დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები გაიყიდება 12 და 13 ნოემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალარიებში. ორგანიზაციებში 11 და 12 ნოემბერს დილის 10 საათიდან.

მინდვრიდან—პირდაპირ მაღაზიაში!

ინეგეთ ახალი ხილ-ბოსტნეული!

ოქტომბრის ზეიმის დღეებში დიდმის მიკრორაიონის საკოლმეურნეო ბაზრის გვერდით გაიხსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროალურ-სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანება „თბილისმბოსტანვაჭრობის“ უნივერსალური მაღაზია № 2, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქში და მოსახლეობისათვის ზრუნვის ნათელი ფაქტია.

მაღაზიის სავაჭრო დარბაზი 850 კვადრატულ მეტრს მოიცავს, სათავსო მეურნეობა — 1.500 კვადრატულ მეტრს. თვალს იტაცებს ზენიბის საერო ხედი, მისი არქიტექტურა, დარბაზში მხატვარ ა. ბანძელაძის მიერ შესრულებული დეკორაციული პანო. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას მომხმარებლისათვის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარ საკვანძო საკითხად მაინც მაღაზიის ხილ-ბოსტნეულით, სხვადასხვა პროდუქტებით მომარაგება მიგვაჩნია.

თუ რა სიახლეა მაღაზიის ყოველდღიურ მუშაობაში, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა მომსახურებით, როგორ ამარაგებენ მეურნეობები „თბილხილბოსტანვაჭრობის“ უნივერსალურ მაღაზიას და რა პერსპექტივებია დასახული, ამის შესახებ ვესაუბრეთ მაღაზიის დირექტორს ვენერა ბანძელაძეს.

—მთავარია, მოსახლეობა ყოველდღიურად ახალ და საღ პროდუქტებს იღებდეს, კმაყოფილი იყოს მომსახურებით. ბოსტნეული და ხილი ჩვენი მაღაზიის დახსნის პირველი დღეებიდანვე მოკრეფიდან ოთხი-ხუთი საათის შემდეგ ხვდება დახლზე, ხოლო მწვანილი — უფრო ადრე. ჩვენ ვაღდებულება ვიკისრეთ გასაყიდად მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქტი გამოვიტანოთ. ის ფაქტი, რომ წლის ბოლომდე მაღაზიამ მოსახლეობას 300.000 მანეთის პროდუქცია უნდა მიაწოდოს, თავისთავად მეტყველებს მის მახვნებურობაზე.

დღეისასწაულის დღეებში ჩვენ უხვად გვქონდა არა მარტო ხილ-ბოსტნეული — კარტოფილი, ხახვი, კიტრი, პამიდორი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, ნიორი, ბადრიჯანი, გოგრა, ვაშლი, მსხალი, ყურძენი, კარაღლიოკი, მანდარინი და სხვა, არამედ სხვა პროდუქტებიც — საქონლის და ღორის ხორცი, დაკლული ქათამი და ინდური, სხვადასხვა ხასიათ თევზეული, ყველი, კვერცხი, სამამულო და საზღვარგარეთული ხილისა და ბოსტნეულის წვენი, ლიმონათი და მინერალური წყლები, კომპოტი, მურაბა, ჯემი. პროდუქტების ასეთი ასორტიმენტი მუდამ იზიდავს მოსახლეობას.

მომსახურე პერსონალი 110 კაცისაგან შედგება. მათ შორის იხეთებიც არიან, რომლებმაც ახლახან დაამთავრეს სპეციალური კურსები, ეს ახალგაზრდობა დარბაზის თავიანთ უნებზე ნამდვილი განკაკრეულებლები არიან. მაღაზიის გახსნის პირველ დღეს მომხმარებელს მივაწოდეთ 20 ტონა ახალი ხორცი, ფრინველი და თევზეული, შეუფერხებლად იყიდებოდა ყველი, გასტრონომიული პროდუქცია, ხილისა და ბოსტნეულის წვენი, ლიმონათი და მინერალური წყლები.

როდესაც გუშინ დირექტორთან ასეთი საუბარი გვქონდა, ამ დროს მაღაზიას მოადგა მანქანები, ვ. ბანძელაძემ გაგვიმარტა, ეს მანქანები კრწანისის საბჭოთა მეურნეობიდან და გორის სასათბურე მეურნეობიდან არისო, მათ სრულიად ახალი ქინძი, ოხრახუში, ნიახური, ბოლოკი, ახალმოკრეფილი კიტრი და პამიდორი მოიტანეს, მოსახლეობა სიამოვნებით ყიდულობს ასეთ პროდუქტებს.

მომავალში უფრო მეტიდრო კაკვირი გვექნება მოსახლეობასთან, გავითვალისწინებთ მათს მოთხოვნებს, ხელშეკრულებები გაფორმებული გვაქვს სხვადასხვა მეურნეობებთან იმ ვარაუდით, რომ დღეს აღებული და მოკრეფილი პროდუქცია მომხმარებელმა დღესვე მიიღოს.

ვ. გაგაძე.



„თბილხილბოსტანვაჭრობის“ ახალ უნივერსალურ მაღაზიაში დიდმის მასივში.

ხ. პილაძის ფოტო.

ფოტო-ჟურნალისტთა წარმატება

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტებმა ა. საკოვმა და ი. ჭოხონელიძემ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს. მათ ნამუშევრებს საკვლევის ფოტოეკსპოზიციაზე „სსრ კავშირი: მშვიდობა, პროგრესი, სოციალიზმი“, რომელიც მოწყობილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას, მიენიჭა გამოფენის ბრონზაოს მედლები.

ა. საკოვის ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — ტყვარჩელელი მეშახტის ა. ციბას და თბილისელი მეტრომშენებლის მ. კოკოლაშვილის ფოტოები, ხელოვნთა ანარული პორტრეტები. ი. ჭოხონელიძის ფოტოსურათების სერია ეძღვნება ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსის ბაღების გმირთა შრომასა და ყოველდღიურ ცხოვრებას.

ორივე ავტორი მრავალგზის მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში. ბევრ მათს ნამუშევარს მინიჭებული აქვს დიპლომები, მედლები, ჯილდოები. (საქინფორმი).

დონორის დღე ინსტიტუტში

თელავი. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო „დონორის დღე“. სისხლის მისაცემად პირველნი წარსდგნენ მოწინავე სტუდენტები — თ. ბოჭორიშვილი, ნ. ფეიქრიშვილი, მ. შავაძე, ლ. ხიზანიშვილი. საერთოდ კი ინსტიტუტში ორასამდე მოხალისე დონორია.

ხ. იოსებაშვილი.

დიდ ოჯახს ტყუპი და-ძმა შეემატა

მესტია. (საკ. კორ.). მესტიის რაიონის სოფელ კალაში მცხოვრები თინა და გურამ ხარძიანები ჯერ 40 წლისაც კი არ არიან და უკვე დიდი ოჯახი აქვთ. გმირ დედას თინა ჯაჯვან-ხარძიანს, რომელსაც ექვსი ქალიშვილი და 6 ვაჟიშვილი პყავდა, ამას წინათ გოგო-ბიჭი შეეძინა. ტყუპი დაძმა თავს კარგად გრძნობენ და ნორმალურად იზრდებიან. მშობლებმა გოგონას ლელა დაარქვეს, ბიჭუნას კი ბორისი.

თოთხმეტი შვილი თოთხმეტი სიხარულია და ამ სიხარულით ცხოვრობს და შრომობს ეს ბედნიერი ოჯახი.

გ. ნოდია.

ფიროსმანის სახლ-მუზეუმში

წითელწყაროს. დამთავრდა ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია სოფელ მირზაანში, სახლი 1898 წელს აშენდა.

სახლ-მუზეუმის რესტავრაციას მეთაურობდა ინჟინერი ვალია გონაშვილი, რომელიც კარგად იცნობს დიდი მხატვრის შემოქმედებას. იგი ეწვია მხატვრის სახელთან დაკავშირებულ ადგილებს, ესაუბრა მის თანამედროვეებს. მისი ხელმძღვანელობით სახლს დაუბრუნდა პირველადი სახე, აშენდა საექსპოზიციო დარბაზი, სადაც მოეწყობა ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენები.

სახლ-მუზეუმი მალე მიიღებს პირველ მნახველებს.

(საქინფორმი).

მკითხველის კალმით

☐ **ტყიბული.** ქართველი მწერლები ვ. გვეტაძე, დ. ივარდავა, ი. ქემერტელიძე, გ. მახვილაძე და ი. ყაჭეიშვილი მეშახტეთა ქალაქს ეწვივნენ. ისინი გაეცნენ მეშახტეების, მშენებლებისა და მეჩაიეების შრომითის საქმიანობას. იყვნენ სტალინის სახელობის შახტში, ორპირის კოლმეურნეობასა და მეორე საშუალო სკოლაში. ტყიბულელთა შრომითი საქმიანობა მწერლების შემოქმედებაში აისახება.

ც. ვასაძე.

☐ **ონი.** ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისათვის საკაბის ქუჩაზე ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა. მებარიტეთა სამოცდა ოჯახმა ჭერი დალოცა.

ნ. დუშუაშვილი.

☐ **წითელწყაროს.** ზემო ქედის საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ხუციშვილი) მოსწავლეები კოლმეურნეებს სიმინდის აღებასა და რთველში დაეხმარნენ. მათ 20 ტონა უურძენი და 50 ტონა სიმინდი ჩააბარეს სახელმწიფოს და კოლმეურნეების მადლობა დაიმსახურეს.

მ. გვრიტიშვილი.

☐ **ცხაკაია.** სოფელ ფოცხოში სასოფლო საბჭოს ახალი შენობა წამოიმართა. აქვე მოთავსებულია ქორწინების დარბაზი.

ვ. ბერიძე.

☐ **სოხუმი.** სოფელ იამთხვაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი სასოფლო მაღაზია, რომელიც სხვადასხვა განყოფილებებისაგან შედგება.

ს. საჯაია.

მეგობრობის მერიდიანები

შეხვედრები ფინელ კოლეგებთან

საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ასოციაციის თაოსნობით, რომლის პრეზიდენტია ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აგნია ბარტო, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დელეგაცია ფინეთში იმყოფებოდა. დელეგაციის ხელმძღვანელობდა მოსკოვის საბავშვო წიგნის სახლის დირექტორი, საბავშვო წიგნის საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი მწერალი ნ. პალნიკი.

დელეგაცია მიიღო ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ქრისტინა პორკალამ, საბჭოთა მოღვაწენი ეწვივნენ ფინეთის ქალაქებს — ჰელსინკის, ტურკუს, ტამპერეს, ჰაიმეენლინნასა და ლაპტის, შეხვედრები ჰქონდათ ფინელ მწერლებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან, თეატრისა და კინოს მუშაკებთან, ესტუმრნენ სკოლებს და საბავშვო ბაღებს, ბიბლიოთეკებს, გამომცემლობებს, სტამბებს, გაეცნენ მათს მუშაობას. გაიმართა ამ ორი ხალხმწიფოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა გულითადი შეხვედრები, სასარგებლო საუბრები, აზრთა გაზიარება როგორც საბავშვო ლიტერატურის, ისე ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის პრობლემებზე.

საბჭოთა მწერალთა ვიზიტს გადაცემები მიუძღვნა რადიომ და ტელევიზიამ, მთელი გვერდები დაუთმო ფინეთის რამდენიმე გაზეთმა, მათ შორის — ფინეთის კომუნისტური პარტიის გაზეთმა „კანსან უუტისეტმა“, გაზეთებმა „ტიუდონანტაიამ“, „უუსი სუომმ“ და სხვ.

დელეგაციის წევრთა შემადგენლობაში იმყოფებოდა საქართველოს ლიტერატურის წარმომადგენელი — პოეტი და მთარგმნელი **ლეილა ერაძე.** იგი ფინელ კოლეგებს ესაუბრა საბჭოთა ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობისა და ურთიერთგამდიდრების პროცესზე, ქართული საბჭოთა საბავშვო წიგნის როლზე ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში და სხვა საკითხებზე.

ლ. ლელაშვილი.

კომუნისტი 380026 თბილისი-26, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებმა—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 03632 Საქ. კპ გაზ-ის გამომცემლობის სტამბა, 380003 თბილისი-3, ლენინის ქ. 14

ჩვენი მისამართი და ტელეფონები